პრეზიდენტი
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი



ოჯახები და ლოცვა

ერთხელ, ღამით, როცა მამის საწოლის კიდეზე ვიყავი ჩამომჯდარი, იგი თავისი ბავშვობის შესახებ მიყვებოდა. მან მიამბო თავისი მშობლების სიყვარულის შესახებ განსაცდელის ჟამს და მამაზეციერისა და მხსნელის სიყვარულზე. მე ვიცოდი, რომ იგი სიმსივნისგან იღუპებოდა, ამიტომ სულაც არ მიკვირდა, რომ ხანდახან მას გრძნობები მამაზეციერის მიმართ მიწიერი მამის სიყვარულში და სიკეთეში ერეოდა. მამა ხშირად ამბობდა, რომ ლოცვისას ეგონა, რომ გონებაში მამაზეციერის ღიმილს ხედავდა.

მშობლებმა ასწავლეს მას, საკუთარ მაგალითზე, ილოცოს ისე, თითქოს ესაუბრება ღმერთს და ღმერთი სიყვარულითვე პასუხობს. მას ბოლომდე სჭირდებოდა ეს მაგალითი. როცა ტკივილი გაუძლიერდა, ჩვენ დილით იგი საწოლთან მუხლებზე დამხობილი ვიპოვეთ . იგი ძალიან სუსტად იყო და საწოლამდე ვერ მიდიოდა. მან გვითხრა, რომ ლოცულობდა, რათა გაეგო მამაზეციერისგან, რატომ უნდა ეტანჯა ასე ძალიან, როცა მუდამ ცდილობდა, კარგი ადამიანი ყოფილიყო. მან თქვა, რომ კეთილი პასუხი მიიღო: "ღმერთს სჭირდება მამაცი შვილები".

ასე რომ, იგი ბოლომდე ჯარისკაცივით იტანდა, იმის რწმენით, რომ ღმერთს უყვარდა იგი, უსმენდა მას და გაამხნევებდა. იგი დალოცვილი იყო იმით, რომ ადრე გაიგო და არასდროს არ ავიწყდებოდა, რონ მოსიყვარულე ღმერთი ისევე ახლოსაა, როგორც ლოცვა.

აი რატომ ასწავლიდა უფალი მშობლებს: "და მათ ასევე უნდა ასწავლონ საკუთარ შვილებს, ილოცონ და პატიოსნად იარონ უფლის წინაშე" (მოძღვრება და აღთქმები 68:28).

იესო ქრისტეს სახარება აღდგენილ იქნა მორმონის წიგნით და სამღვდელოების ყველა გასაღებებით, რომლებითაც შეიძლება ოჯახების შეკვრა, რადგან ჯოზეფ სმითმა, პატარა ბიჭმა, ილოცა რწმენით. მან მიიღო ეს რწმენა მოსიყვარულე, მორწმუნე ოჯახში.

ოცი წლის წინ უფალმა მისცა ოჯახებს რჩევა "ოჯახი: გზავნილი მსოფლიოს"-ს მეშვეობით პირველი პრეზიდენტობისა და თორმეტ მოციქულთა ქვორუმისგან: "წარმატებული ქორწინებები და ოჯახები ყალიბდება და ეფუძნება რწმენის, ლოცვის, მონანიების, შენდობის, პატივისცემის, სიყვარულის და ჯანმრთელი ცხოვრების კანონებზე".[1]

ჩვენ შეუფასებელი ვალი გვაქვს ჯოზეფ სმითის ოჯახის წინაშე მისი აღზდისთვის. მისი ოჯახი იყო არა მხოლოდ რწმენისა და ლოცვის, ასევე

მონანიების, შენდობის, პატივისცემის, სიყვარულის და ჯანმრთელი ცხოვრების ღონისძიებების მაგალითი.

თქვენს შემდეგ მომავალ თაობას შეუძლია დაგიძახოს "დალოცვილი" ოჯახში თქვენი ლოცვის მაგალითის გამო. შეიძლება ღვთის დიდი მსახური არ გაზარდოთ, მაგრამ თქვენი ლოცვებით და ერთგულების მაგალითით დაეხმარებით უფალ იესო ქრისტეს კარგი, საყვარელი მოწაფეების გაზრდაში.

ყველაფრისგან, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, ლოცვა იქნება ყველაფრის შუაგული. არიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც, როცა ლოცულობენ, შთააგონებენ სხვებს, გაახილონ თვალები, რათა დაინახონ, ვინ ლოცულობს თქვენც შეგიძლიათ, გახდეთ ასეთი ადამიანი.

იფიქრეთ იმაზე, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს მათთვის, ვინც ოჯახურ ლოცვაში თქვენთან ერთად არის მუხლმოდრეკილი. როცა ისინი გრძნობენ, რომ თქვენ ღმერთს ესაუბრებით რწმენაში, მათი რწმენაც გაიზრდება იმისთვის, რომ ღმერთს ესაუბრონ. როცა ლოცულობთ იმისთვის, რომ მადლობა გადაუხადოთ ღმერთს იმ დალოცვებისთვის, რომლებიც მათ იციან, რომ თქვენ მიიღეთ, მათი რწმენა იმაში, რომ ღმერთს უყვარს ისინი, გაიზრდება და იწამებენ ისინი, რომ იგი პასუხობს თქვენს ლოცვებს და მათ ლოცვებსაც უპასუხებს. ეს შეიძლება დროდადრო მოხდეს ოჯახურ ლოცვაში, თუკი ეს გამოცდილება როდისმე პირადი ლოცვისას გქონიათ.

მე ჯერ კიდევ ვიღებ დალოცვებს დედისა და მამის გამო, რომლებიც ღმერთს ესაუბრებოდნენ. მათი მაგალითი ოჯახში ლოცვის ძალის შესახებ ჯერ კიდევ ლოცავს მათ მომავალ თაობებს.

ჩემი შვილები და შვილიშვილები ყოველდღე დალოცვილნი არიან ჩემი მშობლების მაგალითით. იმის რწმენა, რომ მოსიყვარულე ღმერთი ისმენს ლოცვებს და პასუხობს მათ, მათ შვილებსა და შვილიშვილებსაც გადაეცათ. თქვენც შეგიძლიათ შეუქმნათ ასეთი მემკვიდრეობა თქვენს ოჯახს. მე ვლოცულობ იმაზედ, რომ ასეც იყოს.

შენიშვნა

1. იხილეთ „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," *Liahona,* 2010 წ. ნოემბერი, გვ. 129.

აღნიშნეთ ოჯახის მოწოდების მე-20 წლისთავი

"ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს" გვასწავლის პრინციპებს, რომლებიც დღესაც ისეთივე დროულია, როგორც მაშინ, როცა პირველად დაიბეჭდა 1995 წ. 23 სექტემბერს. მოიწვიეთ ცალკე პირები ან ოჯახები, რომლებსაც ასწავლით, აღნიშნონ მოწოდების მე-20 წლისთავი შემდეგნაირად:

1. ჩამოწერონ პრინციპები, რომლებსაც იგი შეიცავს და აქვს მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. (იხ. ზემოთ, როგორ აკეთებს ამას ლოცვით პრეზიდენტი აირინგი).
2. განიხილონ, როგორ ლოცავს მათ დღეს და მომავალში თითეული პრინციპი.
3. დასვან კონკრეტული მიზნები ამ პრინციპების ცხოვრებაში გამოსაყენებლად და სხვებთან გასაზიარებლად.

ახალგაზრდები

მუშაობა ლოცვაზე

პრეზიდენტი აირინგი გვასწავლის, რომ თქვენი ოჯახი შეიძლება დაილოცოს მამაზეციერთან თქვენი ძლიერი ურთიერთობის გამო . თქვენ შეგიძლიათ გამოასწოროთ ურთიერთობა მასთან თქვენი ლოცვების გაუმჯობესების მეშვეობით. აი რამდენიმე იდეა ამის შესასრულებლად:

სანამ დაიწყებთ ლოცვას, ცოტა ხნით დაფიქრდით იმაზე, რისი თქმა გინდათ. განიხილეთ შესაძლო შეკითხვები ან ის, რაც გაწუხებთ (შეგიძლიათ ჩაიწეროთ კიდევაც, რომ არ დაგავიწყდეთ). გამოიყენეთ ეს დრო ასევე იმისთვის, რომ მთელი დღის ხმაურისგან გაინთავისუფლოთ გონება და გადაიტანოთ ყურადღება სულიწმინდის ნაზ გავლენაზე. თუ ლოცვისას ყურადღება გეფანტებათ, ეცადეთ წარმოიდგინოთ, რომ მამაზეციერი გისმენთ. ისაუბრეთ კონკრეტულად. ასევე, ლოცვის ბოლოს დაიტოვეთ რამდენიმე წუთი იმისთვის, რომ მოუსმინოთ სულიწმინდის კარნახს. შეგიძლიათ ჩაიწეროთ შეგრძნებები ჟურნალში.

გახსოვდეთ, რომ ლოცვა არის მუშაობის ფორმა, ასე რომ არ იდარდოთ, თუ ეს პროცესი თქვენგან მოითხოვს ვარჯიშს ან რთული იქნება. თქვენი ლოცვის მცდელობა დაგეხმარებათ ღმერთთან ისეთი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, რომელიც თაობებს დალოცავს.

ბავშვები

ლოცვის შესახსენებელი

პრეზიდენტი აირინგი გვასწავლის, რომ მნიშვნელოვანია ოჯახთან ერთად ლოცვა. თქვენ, ყოველდღიური ლოცვით, შეგიძლიათ იყოთ მაგალითი თქვენი ოჯახისთვის. თქვენ ასევე შეგიძლიათ შეახსენოთ ოჯახს, ყოველდღე ილოცონ ერთად. გახსოვდეთ ეს ციტატა პრეზიდენტ აირინგის გამოსვლიდან: "მამაზეციერი ისმენს თქვენს ლოცვებს". თქვენ მას უყვარხართ. მან იცის თქვენი სახელი ("Continuing Revelation," *Liahona,* Nov. 2014, 73). დაწერეთ ეს ციტატა ბარათზე ან ფურცელზე და დადეთ იგი იქ, სადაც მთელი ოჯახი დაინახავს მას. ასე თქვენ შეძლებთ ყოველთვის გახსოვდეთ მამაზეციერი, რომელსაც სურს თქვენთან საუბარი!

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, September 2015.* Georgian. 12589 131

იესო ქრისტეს ღვთიური თვისებები: ძლევამოსილი და დიდებით აღსავსე

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მაცხოვრის როლისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი reliefsociety.lds.org.

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ იესო ქრისტემ მიიღო სრული ძლევამოსილება, როგორც მიწაზე, ისე ზეცაში და მამა ღმერთის დიდება იყო მასთან (მოძღვრება და აღთქმები 93:17). უხუცესმა რასელ ბალარდმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან თქვა, რომ ამ ძლევამოსილებით მხსნელმა შექმნა ცა და დედამიწა, მოახდინა სასწაულები და აიტანა ტკივილი გეთსიმანიის ბარში, შემდგომ კი ჯვარცმა.[1] როცა გავიაზრებთ ამას, ჩვენი რწმენა ქრისტეში გაიზრდება და ჩვენც გავძლიერდებით.

როცა ვდებთ და ვიცავთ სატაძრო აღთქმებს, უფალი გვლოცავს თავისი ძალით. ლინდა კ. ბერტონმა, მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა, თქვა: "აღთქმის დაცვა გვაძლიერებს, გვაძლევს ძლევამოსილებას და გვიცავს. . . . მე ახლახანს შევხვდი ძვირფას ადამიანს. მან დამიმოწმა, რომ სატაძრო შემოსვის შემდეგ მან იგრძნო, როგორ მოემატა ძალა ცდუნებების დასაძლევად".[2]

ნეფი მოწმობს აღთქმის ძალის შესახებ: "მე, ნეფიმ, ვიხილე რა ღვთის კრავის ძალა, რომელიც გადმოდიოდა . . . უფლის აღთქმულ ხალხზე, . . . და ისინი შეიარაღებულნი იყვნენ პატიოსნებით და ღვთის ძალით დიდებულ სიდიადეში" (1 ნეფი 14:14).

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

იერემია 51:15; გამოცხადება 1:6; იაკობი 4:6-7; მოსია 3:17

წმინდა წერილიდან

მართასა და მარიამის მიერ თანაგრძნობით განმსჭვალული, იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა მათი ძმა, ლაზარე, ღვთის ძალის მეშვეობით, რომელიც მას ჰქონდა.

იესო მივიდა მართასა და მარიამის სახლში მას შემდეგ, რაც ლაზარე ოთხი დღის დამარხული იყო. ისინი ლაზარეს გამოქვაბულთან მივიდნენ და იესომ უბრძანა, აეღოთ ლოდი, რომლითაც შესასვლელი იყო დაფარული. იესომ უთხრა მართას: "განა არ გითხარი, თუ ირწმუნებ, ღვთის დიდებას იხილავ-მეთქი?" მერე ილოცა მამაზეციერისადმი და "მაღალი ხმით შესძახა: ლაზარე, გამოდი!"

"და გამოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი სახვევებით ჰქონდა შეკრული". (იხ. იოანე 11:1-45). მხსნელი იყენებს თავის ძალას ჩვენი გამოსყიდვისთვის და ჩვენთვის ძლევამოსილების მოსაცემად. ჩვენი რწმენა მის მიმართ გაიზრდება, როცა გვეხსომება, რომ იგი ძალითა და დიდებით არის აღსავსე.

შენიშვნები

1. იხ. რასელ ბალარდი, "This Is My Work and My Glory," *Liahona,* May 2013, 18.
2. ლინდა კ. ბერტონი, "The Power, Joy, and Love of Covenant Keeping," *Liahona,* Nov. 2013, 111.

განიხილეთ შემდეგი

როგორ გვაიარაღებს ღვთის ძალა სიძლიერითა და დიდებით?

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *Visiting Teaching Message, September 2015.* Georgian. 12589 131